

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნინო დარახველიძე

Si-Al-O-N სისტემაში მაღალცეცხლგამძლე კომპოზიტების  
მიღება და თვისებების შესწავლა

სადოქტორო პროგრამა –ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია  
შიფრი-0410

## ავტორეფერატი

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

თბილისი

2016

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ქიმიური  
ტექნოლოგიის დეპარტამენტის ბიონანოსამედიცინო, პერამიკული და  
პოლიმერული კომპოზიტების ტექნოლოგია, ინსპექცია, კონტროლი  
მიმართულებაზე.

ხელმძღვანელები: პროფ. ზ. კოგნირიძე  
პროფ. ნ. ნიუარაძე

რეცენზენტები: -----  
-----

დაცვა შედგება -----წელი”-----“-----, -----საათზე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და  
მეტალურგიის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგის  
სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----  
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო აგტორეფერატის-ფაკულტეტის  
გებ-გეგრდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი-----

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება თემის აქტუალურობა

თანამედროვე ტექნიკის სწრაფი განვითარება მოითხოვს მაღალი საექსპლოატაციო თვისებების მქონე მასალების შექმნის აუცილებლობას. ასეთ მასალებს მიეკუთვნებიან მაღალი ცეცხლგამძლე ოქსიდებისა და ძნელდობადი უჟანგბადო ნაერთების ბაზაზე მიღებული კომპოზიტები.

მიუხედავად მაღალცეცხლგამძლე ოქსიდებისაგან მიღებული მასალების დიდი უპირატესობისა (მაღალი სიმკვრივე და სიმტკიცე, მათ შორის გახურებისას, მგდრალობა დამუანგავი გარემოს ზემოქმედების მიმართ) ის ძირითადად გამოირჩევა მაღალი თერმული გაფართოების კოეფიციენტით და შედეგად დაბალი თერმული მედეგობით.

უჟანგბადო ძნელდობადი ნაერთების კერამიკა, კერძოდ, სილიციუმის კარბიდის, პირიქით, ხასიათდება დაბალი თერმული მედეგობით მაღალი სიმტკიცისა და სისალის პირობებში, მაგრამ ადვილად იჟანგებიან დაწყებული  $1200^{\circ}\text{C}$ -დან. გარდა ამისა, უჟანგბადო ნაერთები (კარბიდები, ნიტრიდები, სილიციდები, ბორიდები) ცუდად შეცხვებიან.

ამიტომ ისეთი კომპოზიტის მიღება, რომელიც გააერთიანებდა, როგორც ოქსიდური, ასევე უჟანგბადო ნაერთების ყველა უპირატესობას (ლირსებას) და გამორიცხავდა მათ ნაკლს თანამედროვე მასალათმცოდნეობის აქტუალური ამოცანაა. ასეთ მასალებს მიეკუთვნებიან სიალონები.

სიალონები წარმოადგენენ მეტალთან ოქსიდების მყარ ხსნარს ნიტრიდებში, შედგებიან სილიციუმის, ალუმინის ჟანგბადის და აზოტისაგან და იწოდებიან სიალონებად. ისინი ხასიათდებიან უნიკალური თვისებების შეხამებით. სიმტკიცე მაღალ ტემპერატურებზე ( $1500-1800^{\circ}\text{C}$ ), მაღალი ცეცხლგამძლეობით, კოროზიული ცვეთა და თერმული მედეგობა, სისალე და ითვლებიან ისეთ მასალებად, რომელთაც ამჟამად აქვთ ტექნოლოგიური და კომერციული პერსპექტივები.

სიალონების მიღება სხვადასხვა მეთოდით ხდება: პლაზმოქომიური, ზოლ-გელ ტექნოლოგიით, ქიმიური, რეაქციული შეცხობის, ცხელი დაწესების, მაღალტემპერატურული თვითგავრცელებადი სინთეზის და სხვა.

აღნიშნული მეთოდებით სიალონების მიღებისას წინასწარ ცხელი დაწესების მეთოდით მიღებული  $\text{Si}_3\text{N}_4$ ,  $\text{AlN}$  და  $\text{Al}_2\text{O}_3$ -ის გამოყენება საკმაოდ ზრდის კომპოზიციური მასალების დირებულებას.

ტექნოლოგია მნიშვნელოვნად მარტივდება და თვითდირებულება მცირდება, თუ მის დასამზადებლად იქნება გამოყენებული ნედლეული, რომელიც არ საჭიროებს სერიოზულ ქიმიურ გასუფთავებას ან გადამუშავებას. მაგალითად ალუმინიკატური ნედლეული-კაოლინი.

კაოლინზე ალუმინის პუდრის და ელემენტარული სილიციუმის დამატებით ალუმინორმული და აზოტირების პროცესებით ჩვენს მიერ მიღებულია კომპოზიციური მასალები ბ-სიალონური მატრიცით, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური თვისებებით, რომელსაც კიდევ უფრო აუმჯობესებს სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის დამატება.

## სამუშაოს მიზანი

სამუშაოს მიზანს შეადგენს ინოვაციური მაღალი ტექნოლოგიის შექმნა კომპლექსურად მაღალი საექსპლოატაციო თვისებების სიალონშემცველი კომპოზიტის მისაღებად. ინოვაციას წარმოადგენს ალუმინორმიული და აზოტირების კომპლექსურ პროცესში, რეაქციული შეცხობისა და შემდგომში ცხელი წესების მეთოდით სასურველი ფაზური შედგენილობის სიალონის მიღება.

## კვლევის ობიექტი და მეთოდები

კვლევის ობიექტს შეადგენდა გამოყენებული ნედლეული და მათ ბაზაზე მიღებული კომპოზიტები  $\text{SiC}$  და  $\text{Al}_2\text{O}_3$  სიალონური შემკვრელით

და რეაქციული შეცხობისა და შემდგომი ცხელი დაწნებების მეთოდით  
მიღებული კომპოზიტები CH-6, CH-7, CH-8.

სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულ იქნა კვლევის  
თანამედროვე მეთოდები. ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების  
განსაზღვრისათვის სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი მეთოდები  
და ხელსაწყო-დანადგარები:

- ✓ ცეცხლგამძლეობა. მაღალტემპერატურული სილიტის ღუმელი.
- ✓ თერმული მედეგობა. მაღალტემპერატურული სილიტის ღუმელი.
- ✓ სიმტკიცის ზღვარი კუმულისას. ჰიდრავლიკური წნევი.
- ✓ ფორიანობა და სიმკვრივე. ვაკუუმური აპარატი.
- ✓ რენტგენსტრუქტურული ანალიზი. დიფრაქტომეტრი “Дрон-3”.
- ✓ ელექტრონული მიკროსკოპია. რასტრული ელექტრონული  
მიკროსკოპი.
- ✓ ცხელი დაწნებების მეთოდი, მაღალტემპერატურული ვაკუუმური  
ღუმელი OXY-GON(Model № FR210-30T-A-200-EVC)
- ✓ დინამიური მიკროსისალისა და ინდენტირების მოდულის  
განსაზღვრის მეთოდი. დინამიურ ულტრა მიკროსისალის  
ტესტერზე DUH-211S.
- ✓ მიკრორენტგენსპექტრული ანალიზი. OXFORD instrumentals  
დეტექტორზე X-max.

### ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე

- ✓ დადგენილია, რომ შედარებით მარტივი ტექნოლოგიით და იაფი  
ნედლეულით მიღებულია მაღალი საექსპლოაციო თვისებების  
კომპოზიტები სიალონური მატრიცით.
- ✓ დადგენილია სიალონური კომპოზიტის მისაღებად  
ალუმინიუმული პროცესის უპირატესობა კარბოთერმულთან  
შედარებით.
- ✓ დადგენილია, რომ ნიტროალუმინიურმული მეთოდით პირველად  
მიიღება ალუმინის ნიტრიდი, კარალულურად მიმდინარეობს

ალუმინუმული პროცესი  $\text{SiO}_2$ -ის აღდგენით  $\text{Si}-\text{მდკ,შემდეგ } \text{Si}_3\text{N}_4$  და საბოლოოდ ხდება სიალონის მყარი ხსნარის მიღება.

- ✓ დადგენილია, რომ კომპოზიტის CH-6 მიღება სამფაზიანი. ერთი არის  $\beta$ -სიალონი, მეორე სილიციუმის კარბიდი, მესამე-კორუნდი.  
CH-7-კორუნდი და სიალონი.  
CH-8- სილიციუმის კარბიდი და სიალონი.

## შედეგების გამოყენების სფერო

მიღებული კომპოზიტების გამოყენება შესაძლებელია რაკეტულ-კოსმიურ ტექნიკაში, მაღალტემპარატურული ნაკეთობების კომპოზიციური დამფარავების სახით, მაღალტემპარატურული ღუმელის ამონაგის, თერმოწყვილის დამცავი გარსაცმების დასამზადებლად, ლითონსაჭრელი ინსტრუმენტების სახით, ლითონისა და ქვის დასამუშავებლად, კბილის საბურდ მოწყობილობებში, საკისრებში და სხვა.

## დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლის, ლიტერატურული მიმოხილვის, სამი თავისა და დასკვნისაგან, წარმოდგენილია ნაბეჭდ გვერდზე, შეიცავს 27 ცხრილს, 48 ნახაზს და ერთვის ციტირებული ლიტერატურის ნუსხა (147 დასახელება).

## ნაშრომის შედეგები

- ✓ კლემა ჩატარებულია სიალონის მისაღები მეთოდის შერჩევის მიზნით.
- ✓ მიღებულია  $\text{C}_1, \text{C}_2, \text{C}_3$  შედგენილობის ნიმუშები აზოტის გარემოში გამოწვისას, წარმოიქმნა X-სიალონი მულიტის სტრუქტურით.

- ✓ სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის ალუმინის პუდრასთან  
ნარევის აზოტის გარემოში გამოწვით მიღებულია კომპოზიტები  
 $\text{SiC}$ -სიალონური შემკვრელით და  $\text{Al}_2\text{O}_3$ -სიალონური შემკვრელით.
- ✓ შესწავლილია რეაქციული შეცხობის მეთოდით მიღებული  
კომპოზიტები  $\text{CH}-1$ ,  $\text{CH}-2$ ,  $\text{CH}-3$  და მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური  
პროცესები.
- ✓ რეაციული შეცხობით მიღებული კომპოზიტების  $\text{CH}-6$ ,  $\text{CH}-7$ ,  $\text{CH}-8$   
ცხლად დაწესების შემდეგ დადგინდა მათი ფიზიკურ-ტექნიკური  
თვისებები და ფაზური შედგენილობა.
- ✓ კვლევები ჩატარებულია რენტგენოსტრუქტურული,  
ელექტრონული მიკროსკოპის და მიკრორენტგენოსკოპიული  
ანალიზებით.
- ✓ მიღებული მასალების დინამიური მიკროსისალე და დრეპადობის  
მოდული განისაზღვრა თანამედროვე ISO-14577 საერთაშორისო  
სტანდარტის მოთხოვნების შესაბამის დინამიურ ულტრა  
მიკროსისალის ტესტერზე DUH211S.

### გაოლინის ბაზაზე აზოტის გარემოში მიმდინარე კარბო და ალუმინორმული პროცესები

შევადგინეთ ნარევები კაოლინზე ნახშირბადის დამატებით ( $C_1$ ),  
კაოლინზე ალუმინის პუდრის დამატებით ( $C_2$ ) და ნახშირბადისა და  
ალუმინის პუდრის ნარევის ( $C_3$ ) დამატებით, ნარევების შედგენილობა  
წარმოდგენილია ცხრილში 1.


ცხრილი 1. ნარევის შედგენილობა და მიღებული ნიმუშების ფიზიკურ-  
ტექნიკური მახასიათებლები

ინდექსი	ნარევის შედგენილობა, მას. %			მახასიათებლები			
	კაოლინი	ნახშირბა და	ალუმინი	სიმტკიცი ზღვარი კუმუნის ტექნიკური სპეციალის მას.	ლია ფორმანობ w, %	სიმკვრივე გ/სგვ	ცეცხლოვა ძ, T, °C
$C_1$	82	12	-	170	15,0	1,55	> 1770
$C_2$	88	-	12	210	13,4	1,52	> 1770
$C_3$	88	6	6	160	16,8	1,50	>1770

ნიმუშები დამზადდა ცილინდრული ფორმის, ზომით d-15მმ, ნახევრადმშრალი მეტოდით, დაყალიბების წნევა იყო 20 მპა. შრობის შემდეგ გამოიწვა ღუმელში  $1400^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. ბოლო ტემპერატურაზე ერთსაათიანი დაყოვნებით. ნიმუშების გამოსაწვავი დანადგარი შედგება ღუმელისაგან-1 სილიციუმის კარბიდის გამახურებლებით, მარკა TK 30/200. აზოტი ღუმელს მიეწოდება ბალონიდან-2, რეზინის მილის საშუალებით, რომელზეც ონკანია-3 მოთავსებული. ღუმელის შესასვლელში დრექსელის-4 გავლით რეგულირდება ბალონიდან გამოსული აზოტის სიჩქარე. რის შემდგაც აზოტი შედის ცეცხლგამძლე კორუნდის მილში -5, რომელიც ორივე მხრიდან გერმეტულად არის დახურული. მილს ერთი ბოლოდან მიეწოდება აზოტი, ხოლო მეორე ბოლოდან გამოსასვლელზე ჩართულია წყლიანი დრექსელი-6. იგი არეგულირებს წნევას ღუმელში. ღუმელის ტემპერატურა რეგულირდება ტრანსფორმატორისა-7 და მასთან მიერთებული ვოლტმეტრის-8 საშუალებით. ტემპერატურის აწევის სიჩქარეა  $250^{\circ}\text{C}$  საათში.




ნახ. 1. ნიტროალუმოთერმული პროცესებით ნიმუშების გამოსაწვავი დანადგარი




ნახ. 2. რეაქციული შეცხობის მეტოდით ნიმუშების გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი

როგორც გრაფიკიდან (ნახ. 2.) ჩანს 0-დან  $1400^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურის მატების სიჩქარე სხვადასხვაა.

$800-1000^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში მიმდინარეობს ალუმინით სილიციუმის აღდგენის ეგზოთერმული პროცესი შემდეგი რეაქციით:



$1000^{\circ}\text{C}$ -დან  $1200^{\circ}\text{C}$ -მდე წარმოიქმნება  $\text{AlN}$  შემდეგი რეაქციით :




და იწყება სილიციუმის ნიტრიდის წარმოიქმნა:  $3\text{Si} + 2\text{N}_2 \rightarrow \text{Si}_3\text{N}_4$

რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობს  $1200^{\circ}\text{C}$ -დან.  $1200$ -დან  $1400^{\circ}\text{C}$ -მდე მიღის ძირითადად აზოტირების პროცესი,  $1400^{\circ}\text{C}$ -ზე ვაყოვნებთ 1 საათს. ნიმუშები ცივდება დუმელთან ერთად.

შევისწავლეთ გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები ცხრილი 1. როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით გამოირჩევა  $\text{C}_2$ , შემდეგ  $\text{C}_1$  და  $\text{C}_3$ .

მიღებული ნიმუშების ფაზური შედგენილობის დასადგენად კვლევა ჩატარდა რენტგენოსტრუქტურული ანალიზით (ნახ. 3).

კაოლინის (სურ.3<sub>1</sub>) ძირითადი ფაზაა მულიტი:  $d_{hkl}$ - 5,37; 3,41; 3,385; 2,886; 2,695; 2,547; 2,43; 2,29; 2,175; 1,866 Å. შეიცავს კრისტობალიტს  $d_{hkl}$ - 4,06 Å და არის აგრეთვე რენტგენომორფული ფაზა.



ნახ. 3. ნიმუშების რენტგენოგრამები

1) კაოლინის ; 2)  $\text{C}_1$  ; 3)  $\text{C}_2$  4)  $\text{C}_3$

ნიმუში  $\text{C}_1$ -ის რენტგენოგრამაზე (სურ. 3<sub>2</sub>) მულიტის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები კაოლინთან შედარებით უფრო მაღალი ინტენსიონითაა  $d_{hkl}$  - 5,38 ; 3,41-3,335 ; 2,908 ; 2,635 ; 2,546 ; 2,435 ; 2,29 ; 2,210 ;

კრისტობალიტს შეიცავს უფრო მცირე რაოდენობით. შესაძლებელია, რომ ნახშირბადი ადვილად აღადგენს კაოლინის დაშლის შედეგად წარმოქმნილ  $\text{SiO}_2$ -ს ელემენტარულ სილიციუმამდე რომელსაც ნიტრირების გზით უნდა წარმოექმნა სილიციუმის ნიტრიდი ან ოქსინიტრიდი, მაგრამ რენტგენოგრამაზე, კვალის სახითაც, არ შეინიშნება მათი დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები. რენტგენოგრამაზე გამოსახულია მულიტის გაზრდილი პიკები. რას შეიძლებოდა გამოეწვია კაოლინთან შედარებით მულიტის გაზრდა და რატომ არ ჩანს რენტგენოგრამაზე სილიციუმის ნიტრიდი ან ოქსინიტრიდი?

როგორც ზემოთ ავდნიშნეთ, კარბოთერმული აზოტირების შედეგად წარმოიქმნა მულიტი, კაჟმიწა და თავისუფალი სილიციუმი, რომელიც აზოტის გარემოში სავარაუდოდ აზოტთან ქიმიური რეაქციის შედეგად მოგვცემდა სილიციუმის ნიტრიდს ან ოქსინიტრიდს. კაოლინის დაშლის შედეგად ნარევში იქნებოდა  $\text{Al}_2\text{O}_3$ -ც.





რენტგენოგრამაზე გამოსახული მნიშვნელოვნად გაზრდილი მულიტის პიკი მიმანიშნებელია იმისა, რომ წარმოიქმნა X სიალონი- $\text{SiAlON}$  მულიტის სტრუქტურით.

$\text{C}_2$  -ნიმუშის რენტგენოგრამაზე (სურ. 3) კაოლინთან შედარებით უფრო გაზრდილი პიკია, მისი დამახასიათებელი  $d_{\text{hkl}}$  – 5,37; 3,41-3,385; 2,886; 2,695; 2,546; 2,285; 2,208 Å .

$\text{C}_1$ -თან შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობითაა წარმოქმნილი მულიტი. ნარევი კაოლინ-ალუმინისაა (ცხრ.1). მოსალოდნელი იყო  $\text{SiO}_2$ -ის აღდგენა ალუმინით და შემდეგ ალუმინის ან სილიციუმის ნიტრიდების წარმოქმნა. აშკარად შეინიშნება მულიტის უფრო ნაკლები ინტენსიურობა  $\text{C}_1$ -თან შედარებით. ეს გამოწვეული შეიძლება იყოს იმით, რომ რენტგენოგრამაზე არის a- $\text{Al}_2\text{O}_3$ -ის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები:  $d_{\text{hkl}} = 3,41 ; 2,546 ; 2,376 ; 2,09$ .  $\text{C}_3$  - ნიმუშების რენტგენოგრამაზე (სურ.34) კაოლინთან ნახშირბადისა და ალუმინის პუდრის ერთნაირი თანაფარდობაა აღებული. იგივე მულიტის დამახასიათებელი პიკებია უფრო მაღალი ინტენსიობით, ვიდრე კაოლინში და ნაკლები  $\text{C}_1$ -თან შედარებით.

ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების ანალიზით ჩანს, რომ  $C_1$ ,  $C_2$ ,  $C_3$  შედგენილობის ნარევების აზოგის გარემოში გამოწვისას  $1400^{\circ}\text{C}$ -ზე მიიღება  $X$ -სიალონი, მულიტის სტრუქტურით.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, სამივე შემთხვევაში განხორციელდა კაჟმიწის აღდგენისა და შესაბამისად სილიციუმის ნიტრიდის წარმოქმნის და შედეგად  $X$ -სიალონის მიღების პროცესები შემდეგი რეაქციების მიხედვით:



შემდეგი პელევისათვის ჩვენ შევარჩიეთ სიალონების მიღების ალუმინო-მული მეთოდი, ვინაიდან წარმოქმნილი კომპოზიტი  $C_2$  ხასიათება უფრო მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით (ცხრილი 1).

## სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის ბაზაზე ცეცხლგამძლე კომპოზიტის მიღება სიალონშემცველი შემკვრელით

პელევისათვის შევადგინეთ ნარევები:

1. კორუნდი-კაოლინი-ალუმინის პუდრა.
2. კორუნდი-კაოლინი-ალუმინის პუდრა-სილიციუმი.
3. სილიციუმის კარბიდი-კაოლინი-ალუმინის პუდრა.
4. სილიციუმის კარბიდი-კაოლინი-ალუმინის პუდრა-სილიციუმი.

ნარევების შედგენილობები წარმოდგენილია ცხრილში 2.

ნიმუშები გამოიწვა დუმელში-აზოგის გარემოში  $1350$ ,  $1400$  და  $1450^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. ბოლო ტემპერატურაზე ერთსაათიანი

დაყოვნებით. გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილებში 2, 3, 4.

ცხრილი 2. ნარევის შედგენილობა და  $1350^{\circ}\text{C}$ -ზე გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები.

ინდექსი	ნარევის შედგენილობა, მას%					მახასიათებლები			
	კაოლინი	ალუმინი	სილიკოზუმი	$\text{Al}_2\text{O}_3$	SiC	სიმტკიცის ზღვარი გუმბგისას, $\sigma_b$ , მპა	ლია გორიანობა W %	სიმკრიცე, $\rho$ , $\Omega/\text{m}^3$	ციცხლ გამტკიცვა T, $^{\circ}\text{C}$
C <sub>4</sub>	13	12	-	75	-	41,5	30,2	2,03	> 1770
C <sub>5</sub>	13	6	6	75	-	46,0	30,6	2,06	-
C <sub>6</sub>	13	12	-	-	75	67,0	28,7	2,12	-
C <sub>7</sub>	13	6	6	-	75	65,0	25,5	2,15	-

ცხრილი 3. ნარევის შედგენილობა და  $1400^{\circ}\text{C}$ -ზე გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები.


ინდექსი	ნარევის შედგენილობა, მას%					მახასიათებლები			
	კაოლინი	ალუმინი	სილიკოზუმი	$\text{Al}_2\text{O}_3$	SiC	სიმტკიცის ზღვარი გუმბგისას, $\sigma_b$ , მპა	ლია გორიანობა W %	სიმკრიცე, $\rho$ , $\Omega/\text{m}^3$	ციცხლგამ ლობა, T, $^{\circ}\text{C}$
C <sub>4</sub>	13	12	-	75	-	60,7	21,2	2,22	> 1770
C <sub>5</sub>	13	6	6	75	-	71,5	18,5	2,26	-
C <sub>6</sub>	13	12	-	-	75	96,0	17,8	2,28	-
C <sub>7</sub>	13	6	6	-	75	120,5	15,5	2,29	-

ცხრილი 4. ნარევის შედგენილობა და  $1450^0\text{C}$ -ზე გამომწვარი ნიმუშების  
ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები.

ინდექსი	ნარევის შედგენილობა, მას%					მახასიათებლები				
	კარლინი	ალუმინი	ხილიცოქმი	$\text{Al}_2\text{O}_3$	SiC	ნიმუშიცის ზღვარი დუმშესას,	$\sigma_3$ , მპა	ლია ფორიანობა W, %	ნიმუშივე $\rho$ , $\text{g}/\text{cm}^3$	ცეცხლ- გამძლეობა, $T, ^\circ\text{C}$
C <sub>4</sub>	13	12	-	75	-	90,2	16,3	2,28	-	-
C <sub>5</sub>	13	6	6	75	-	92,8	16,1	2,27	-	-
C <sub>6</sub>	13	12	-	-	75	108,8	15,7	2,31	-	-
C <sub>7</sub>	13	6	6	-	75	116,9	15,2	2,33	-	-

როგორც ცხრილებიდან ჩანს, ტემპერატურის მატებისას  $1350$ -დან  $1450^0\text{C}$ -მდე იზრდება ნიმუშების სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას C<sub>4</sub> და C<sub>6</sub> ნიმუშებისათვის. ასევე იზრდება სიმკვრივე, ხოლო ფორიანობა მცირდება. ამასთან აღსანიშნავია, რომ უკეთესი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები მიიღება იმ ნიმუშებისათვის, რომლებიც ნარევში როგორც კორუნდის, ასევე სილიციუმის კარბიდის შემცველობისას (ცხრ. 2, 3, 4). ერთდროულად შეიცავს ალუმინის და სილიციუმს.

ნიმუშების ფაზური შედგენილობის დასადგენად ჩავატარეთ რენტგენოსტრუქტურული ანალიზი.



როგორც C<sub>4</sub>-ის რენტგენოგრამიდან (ნახ. 4) ჩანს, ძირითადი ფაზა კორუნდია  $d_{hkl}$ - 3,45 ; 2,555 ; 2,03 ; 2,09 ; 1,735 Å. არის მულიტის დამახასიათებელი დიფრაქტოული მაქსიმუმები:  $d_{hkl}$ - 5,37 ; 3,45 ; 2,695 ; 2,555 ; 2,195 Å. კრისტობალიტი- 4,06 Å. არარსებობა სხვა ნიტრიდული ფაზებისა: Si<sub>3</sub>N<sub>4</sub>-ის და AlN-ის იმის მაჩვენებელია, რომ Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-თან ერთად წარმოიქმნა X-სიალონის მყარი სსნარი, მულიტის სტრუქტურით.

C<sub>5</sub>- ნიმუშის, სადაც ნარევში ალუმინის პუდრასთან ერთად არის Si-ც 6% , კორუნდის პიკებთან ერთად საკმაო რაოდენობით მიღებულია სილიციუმის ნიტრიდი (ნახ. 4<sub>2</sub>). მისი დამახასიათებელი დიფრაქტოული მაქსიმუმები:  $d_{hkl}$ - 3,39 ; 2,695 ; 2,511 Å. უფრო მაღალი ინტენსიონითაა, ვიდრე შეიძლებოდა მისი მიღება 6 მას. % სილიციუმისაგან. ეს ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სიალონის (SiAlON) მიღება ხდება ნიტრიდული სტრუქტურით, ე. ი. წარმოიქმნა β- სიალონი მიღებულია კორუნდის ცეცხლგამძლე მასალა სიალონური შემკვრელით.

C<sub>6</sub>-ნიმუშის რენტგენოგრამაზე (ნახ. 4<sub>3</sub>) ძირითადი კომპონენტი სილიციუმის კარბიდია. მცირე რაოდენობით არის a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-იც.

C<sub>4</sub>-ის ანალოგიურად აქაც მიღებულია მულიტი გარკვეული რაოდენობით. სავარაუდოდ მისაღები ნიტრიდების დამახასიათებელი პიკები არ არის. ესეც მიანიშნებს, რომ მიღებული X- სიალონი მულიტის სტრუქტურითაა.

C<sub>7</sub>-ნიმუშის რენტგენოგრამაზე (ნახ. 4<sub>4</sub>) ძირითადი ფაზაა სილიციუმის კარბიდი.  $d_{hkl}$ - 2,625 ; 2,511 ; 2,353 ; 2,182 ; 2,004 Å. ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობითაა სილიციუმის ოქსინიტრიდი – Si<sub>2</sub>ON<sub>2</sub>.  $d_{hkl}$ - 4,67 ; 4,44 ; 3,36 ; 2,383 Å.

O<sup>1</sup>-სიალონი მიიღება სილიციუმის ოქსინიტრიდული სტრუქტურით, რასაც ადგილი აქვს C<sub>7</sub>- ნიმუშის შემთხვევაში. ამრიგად, კორუნდისა და სილიციუმის კარბიდის შემცველი ნიმუშების 1400°C-ზე გამოწვისას შეინიშნება შემდეგი:

1. Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> და SiC კომპონენტებზე კაოლინ-ალუმინის პუდრის ნარევის დამატებით მიიღება კორუნდი სიალონური შემკვრელით და სილიციუმის კარბიდი სიალონური შემკვრელით. ორივე შემთხვევაში მიიღება X- სიალონი.

2.  $\text{Al}_2\text{O}_3$  და  $\text{SiC}$  კომპონენტებზე კაოლინ-ალუმინის პუდრა-სილიციუმის ნარევის დამატებით ასევე მიიღება კომპოზიტები: კორუნდი სიალონური შემკვრელით და სილიციუმის კარბიდი სიალონური შემკვრელით.

აქ სიალონი კორუნდთან  $\beta$ -ფორმისაა და სილიციუმის კარბიდთან  $\text{O}^1$ -სიალონი მიიღება.

#### ცხრილი 5. ნარევების შედგენილობები

კომპოზიტის ინდექსი	საწყისი კომპონენტის შემცველობა, მას.%								
	კაოლინი (უკრაინა)	Al	$\text{Al}_2\text{O}_3$	$\text{SiC}$	Si	პერლიტი (სომხეთი)	$\text{Y}_2\text{O}_3$	MgO	პოლოგის თიხა, (უკრაინა)
CH-1	80,00	20,00							
CH-2	20,00	10,00		70,00					
CH-3	20,00	10,00	70,00						
CH-6	18,52	18,52	18,52	18,52	20,37	2,78	1,85	0,92	
CH-7	13,89	23,15		27,78	25,00	2,78	1,85	0,92	4,63
CH-8	13,89	23,15	27,78		25,00	2,78	1,85	0,92	4,63

### სიალონშემცველი კომპოზიტის მიღება რეაქციული შეცხობის მეთოდით

ჩვენი სამუშაოს ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა რეაქციული შეცხობის მეთოდით სიალონშემცველი კომპოზიტების მიღება სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის ბაზაზე. ეს მეთოდი სასურველი

ფაზური შედგენილობის მასალის მიღების საშუალებას იძლევა. ამ მეთოდით სიალონების მიღებისას, შეცხობის ტემპერატურა მნიშვნელოვნად მცირდება აქტიური მასალების გამოყენების შემთხვევაში.

ამოცანა მდგომარეობდა ისეთი მასალების შერჩევაში, რომლებიც რეაქციული შეცხობის მეთოდით ახლადწარმოქმნილი კომპონენტების გამოყენების საშუალებას მოგვცემდა, რადგან სიალონების მყარი სსნარის მიღებისას  $a\text{-}\text{Al}_2\text{O}_3$  და  $\text{AlN}$ -ის ჩანერგვა  $\beta\text{-Si}_3\text{N}_4$ -ში განსაკუთრებით მარტივდება, როდესაც მისი კრისტალური


მესერი ჯერ კიდევ წარმოქმნის პროცესშია. საწყისი მასლების სახით გამოვიყენეთ: კაოლინი, ალუმინის პუდრა, სილიციუმი, სილიციუმის კარბიდი, ალუმინის ოქსიდი, ხოლო დანამატების სახით: მაგნიუმისა და იტრიუმის ოქსიდები, პერლიტი და ცეცხლგამძლე თიხა. ნარევების შედგენილობა წარმოდგენილია ცხრილში 5.

შევისწავლეთ  $1500^{\circ}\text{C}$ -ზე გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური თვისებები (ცხრილი 6). მაღალი ფიზიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა C<sub>7</sub>, შემდეგ C<sub>6</sub> და C<sub>8</sub>. ღია ფორიანობა შესაბამისად შეადგენს 15,2, 15,0 და 15,4 % -ს. კუმშვისას სიმტკიცის ზღვარი არის 258, 256 და 254 მპა. რაც იმაზე მეტყველებს, რომ  $1500^{\circ}\text{C}$  არ არის საკმარისი სრული გამკვრივებისათვის. მიუხედავად ამისა, ქიმიური მედეგობა წყლისა და მჟავას ( $\text{H}_2\text{SO}_4$  ρ-1.84) მიმართ მაინც მაღალია. ნიმუშების ცეცხლგამძლეობაა- $1770^{\circ}\text{C}$ .

#### ცხრილი 6. $1500^{\circ}\text{C}$ -ზე გამომწვარი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები

კომპოზიტის ინდექსი	ღია ფორიანობა w, %	სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას, σ <sub>3</sub> , მპა	სიმკვრივე, ρ, გ/სმ <sup>3</sup>	ქიმიური მედეგობა, %
CH-1	16.2	230	2.28	წყალი მჟავა
CH-2	15.0	245	2.8	99,41 99.16
CH-3	16.0	240	3.2	99.36 99.15
CH-6	15.0	256	2.25	99.82 99.20
CH-7	15.2	258	2.31	99.79 99.25
CH-8	15.4	254	2.78	99.80 99.30

სიალონების მიღებისას მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესასწავლად ნიმუშები გამოიწვა  $800-1500^{\circ}\text{C}$  ტემპერატურულ ინტერვალში და პვლევა ჩატარდა რენტგენოსტრუქტურული ანალიზით (ნახ.5)




ნახ. 5. CH-1 ქომპოზიტის X-RAY ( 800-1100°C)

800°C-ის რენტგენოგრამაზე გამოკვეთილია ალუმინის, სილიციუმის და კვარცის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები,  $d_{hkl}$  :ალუმინი- 2,338; 2,025; 1,62; 1,432 Å. სილიციუმი- 3,53; 3,13; 2,45; 1,817 Å. კვარცი-3,34; 4,25; 2,454; 1,817 Å .როგორც მოსალოდნელი იყო კაოლინიტის დაშლის შედეგად გამოიყო  $\text{SiO}_2$  , სილიციუმი კი წარმოიქმნა ალუმინორმის პროცესის შედეგად შემდეგი რეაქციით:  $3\text{SiO}_2 + 4\text{Al} \rightarrow 2\text{Al}_2\text{O}_3 + 3\text{Si}$  .


900-1000°C ტემპერატურულ ინტერვალში მკვეთრად შემცირებულია ალუმინის და  $\text{SiO}_2$ -ის დამახასიათებელი პიკები, ჩნდება ახალი ფაზები  $\text{AlN}$  და  $\text{AlON}$ .  $d_{hkl}$ :ალუმინი- 2,34; 2,025; 1,438 Å. კვარცი- 3,34; 4,25; 2,454; 1,817 Å .  $\text{AlN}$  – 2,714 Å.  $\text{AlON}$ - 1,985; 1,397 Å. 1000°C  $d_{hkl}$  :  $\text{SiO}_2$  – 4,25; 3,34; 2,280; 2,546 Å .  $\text{Si}$  – 3,13 ; 3,53; 1,817 Å .  $\text{AlN}$ - 2,714; 2,437; 1,402 ; 1,397 Å .  $\text{AlON}$ - 2,383; 1,985; 1,385 Å.

1100-1200°C ინტერვალში ქრება ალუმინის და იზრდება  $\text{AlN}$  და  $\text{AlON}$ -ის ინტენსიობა. მკვეთრად შემცირებულია  $\text{SiO}_2$  . 1200°C- ზე არ არის  $\text{Si}$  და  $\text{SiO}_2$ -ის პიკები. გაჩნდა მულიტის დამახასიათებელი პიკები. 1100°C  $d_{hkl}$  : ალუმინი- 2,38 Å;  $\text{SiO}_2$  – 4,25; 3,335; 1,824 Å.  $\text{Si}$  – 3,13 ; 1,824 Å.  $\text{AlON}$ - 1,983; 1,39 Å.  $\text{AlN}$ - 2,704; 2,48; 2,39 ; 1,56; 1,406; 1,411; 1,32 Å . მულიტი - 5,33; 3,44; 3,395 Å. 1200°C  $d_{hkl}$  :  $\text{AlN}$ -2,734; 2,700; 2,46; 2,383; 1,548; 1,435; 1,418; 1,334 Å. მულიტი- 5,45; 3,43; 3,395; 2,885; 2,546; 2,295; 2,208; 1,899; 1,990; 1,824; 1,705 ; 1,530 Å;  $\text{AlON}$ -1,993 Å;




ნახ. 6. CH-1 კომპოზიტის X-RAY ( 1200-1500°C)

1300-1400°C- ზე ძირითადი ფაზა მულიტია. კვალის სახით რჩება AlN და AlON და არ ჩანს  $\text{Si}_3\text{N}_4$ -ის დამახასიათებელი პიკი. იგივე სურათია 1500°C- ზე, რაც მიანიშნებს, რომ 1300°C-ზე წარმოიქმნა X-სიალონი მულიტის სტრუქტურით. 1300°C  $d_{hkl}$  : მულიტი - 5,38; 3,395; 2,89; 2,704; 2,555; 2,43; 2,29; 2,125; 1,84; 1,700; 1,600; 1,520; 1,44 Å; AlN-2,70 Å. კორუნდი-3,476; 2,09 Å; კრისტობალიტის კვალი 4,09 Å; ALN-1,98 Å; 1400°C  $d_{hkl}$  : მულიტი გადიდებული პიკებით. კორუნდი კვალის სახით -3,476; 2,09 Å; AlN -2,70 Å;  $\text{Si}_3\text{N}_4$ -6,88Å.




ნახ. 7. CH-2 კომპოზიტის X-RAY ( 800-1100°C)

CH-2-ის შედგენილობის (ცხრილი 5) ნიმუშების რენტგენოგრამებზე 800-1500°C-მდე 100°C-ის ინტერვალით გამომწვარ ნიმუშებში, კაზმში შევვანილი სილიციუმის კარბიდი რჩება უცვლელი ყველა ტემპერატურაზე. როგორც CH-1-ის ნიმუშებიდან ჩანს, აქაც 800-900°C-ზე არის ალუმინის, სილიციუმის და  $\text{SiO}_2$ -ის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები.




ნახ. 8. CH-2 კომპოზიტის X-RAY ( 1200-1500°C)

1000-1100°C- ზე წარმოიქმნა ახალი ფაზები: AlN და AlON. 1100°C-ზე მულიტი. ყველა დანარჩენ ტემპერატურაზე ფაზების წარმოქმნა მიმდინარეობს იგივე სქემით ორგორც CH-1-ის შემთხვევაში, მაგრამ შედარებით ნაკლები ინტენსივობით, შესაბამისად შედგენილობისა. ამრიგად, მიღებულია სილიციუმის კარბიდის კომპოზიტი X-სიალონური შემკვრელით.



ნახ. 9. CH-3 კომპოზიტის X-RAY ( 800-1100°C)

CH-1 და CH-2-ის მსგავსად ქიმიური პროცესები ამ შედგენილობის (ცხრილი 5) ნიმუშებში იგივე სქემით მიმდინარეობს. ა-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub> უცვლელი რჩება ბოლომდე და მიიღება კომპოზიტი კორუნდი X-სიალონური შემკვრელით.




686. 10. CH-3 յոթերթօնքութեալ X-RAY ( 1200-1500°C)

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, SiC და a-Al<sub>2</sub>O<sub>3</sub>-ის შემცველი სიალონური კომპოზიტის მისაღებად, კაზმის შედგენილობაში შეყვანილია დამატებით მეტალური სილიციუმი, შემცირებული რაოდენობით სილიციუმის კარბიდი და a-AL<sub>2</sub>O<sub>3</sub> (ცხრილი 5). მიღებული კომპოზიტების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 6.


ცხრილში 5 მოყვანილი სამი შედგენილობის (CH-6, CH-7, CH-8)  $1500^{\circ}\text{C}$ -ზე გამომწვარი ნიმუშების რენტგენოგრამები წარმოდგენილია ნახაზზე 11, 12, 13.

CH-6 კომპოზიტი ძირითადად შედგება ბ-სიალონისაგან. მასში დაფიქსირდა კარბიდის და კორუნდის დამახასიათებელი დიფრაქციული მაქსიმუმები.




ნახ. 11. CH-6 კომპოზიტის X-RAY (1500°C)

CH-7 რენტგენოგრამაზე ძირითადი ფაზა ჩ-სიალონია. კომპოზიტი  
შეიცავს ჩ-სიალონთან ერთად სილიციუმის კარბიდს; უმნიშვნელო  
რაოდენობით შეიცავს X სიალონსაც.



### 68b. 12. CH-7 ქომპოზიტის X-RAY (1500°C)



### 68b. 13. CH-8 յոմՅօջօն X-RAY (1500<sup>0</sup>C)


CH-8 კომპოზიტი, მსგავსად ზემოთაღნიშნული კომპოზიტებისა შედგება  $\beta$ -სიალონისაგან და შეკვანილი  $a\text{-Al}_2\text{O}_3$ -საგან.

მიკროსტრუქტურული ანალიზის (ნახ. 14) შედეგები აღასტურებს რენტგენოსტრუქტურული კვლევის მონაცემებს. CH-1 კომპოზიტის მიკრო-სტრუქტურა ასევე წარმოდგენილია ძირითადად X- სიალონის ფაზით, რომელშიც ჩაწინაშელია  $\text{Si}_3\text{N}_4$  მარცვლები.

CH-6, CH-7 და CH-8 კომპოზიტების მიკროსტრუქტურული კვლევის მონაცემები თანხვედრაშია რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგებთან, საიდანაც ჩანს, რომ ამ კომპოზიტების მატრიცას წარმოადგენს პ-სიალონი.

CH-6 კომპოზიტის მატრიცაში განაწილებულია სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის მარცვლები. CH-7 კომპოზიტის მატრიცაში გამოკვეთილია სილიციუმის კარბიდის მარცვლები, რომელთა ზომა აღემატება ახალწარმოქმნილი სილიციუმის ნიტრიდის მარცვლების ზომას. CH-8 კომპოზიტში იგივე წ-სიალონისაგან შემდგარი მატრიცაა,


რომელშიც არის  $\alpha\text{-AL}_2\text{O}_3$ -ის კრისტალები. ამ სურათზე ჩანს ფორები, რომლებიც ამ კომპოზიტში მეტი რაოდენობითაა.




ნახ. 14. კომპოზიტების მიკროსტრუქტურები

CH-6 კომპოზიტის სტრუქტურის კვლევა გავაგრძელეთ JEOL ფირმის ელექტრონულ-რასტრული მიკროსკოპის YSM 650LW-ს საშუალებით და მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზით. ეს უკანასკნელი ჩატარდა OXFORD instrumentals დეტექტორზე X-max, რის საშუალებითაც ვიღებთ კომპოზიტის შემცველ ელემენტთა ზოგად შემადგენლობას. ანალიზის შედეგები მოცემულია ნახაზზე 15. და 16.


ნახაზზე 15 გამოკვეთილია ძირითადი ფაზის სიალონის არსებობა, რომელიც მატრიცის როლს ასრულებს. მასში განაწილებულია სილიციუმის კარბიდისა და კორუნდის კრისტალები, რაც ადასტურებს რენტგენოსტრუქტურული და მიკროსტრუქტურული ანალიზის მონაცემებს.



ნახ. 15. CH-6 კომპოზიტის ელექტრონულ-მიკროსკოპიული ანალიზი ( $1500^{\circ}\text{C}$ )



ნახ. 16. CH-6 კომპოზიტის მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზის შედეგები  
 ნახ. 16-ზე წარმოდგენილია მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზი, მონაკვეთზე სპექტრუმ 1 და შემადგენელ ელემენტთა სქემა და მათი პროცენტული შემცველობა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ კომპოზიტის შემცველი მინერალების: სიალონის, სილიციუმის კარბიდის და კორუნდის შემცველი ელემენტებია Si, Al, O, N და შესაბამისად მათი პროცენტული რაოდენობა, რაც ერთხელ კიდევ ნათელს ხდის კომპოზიტში აღნიშნული მინერალების არსებობას.  
 რეაქციული შეცხობით მიღებული კომპოზიტის წარმოების ტექნოლოგიური სქემა.




## ცხელი დაწნებვის მეთოდით კომპოზიტების მიღება ჩ-სიალონის მატრიცაზე

მკვრივი ნაკეთობის მისაღებად ცხელი დაწნებვის მეთოდით რეაქციული შეცხობისა და ნიტროალუმინორმული მეთოდებით მიღებული კომპოზიტები CH-6 და CH-8 (იხ. ქიმიური შედგენილობა გვ.) გადაიფქვა ბურთულებიან წისქვილში 8 საათის განმავლობაში.

ცხელი დაწნებვისას დაბალ ტემპერატურებზე რეარისტალიზაციის აქტიური პროცესი ე.ი. შეცხობადი ნივთიერების მარცვლების ზომის ზრდა ჯერ კიდევ არ იწყება, ე.ი. შედეგად შეცხობილ ნაკეთობას ექნება წვრილმარცვლოვანი სტრუქტურა და მაღალი ფარდობითი სიმკერივე.

პრეკურსორი მომზადდა ოერმოსტატში  $150^{\circ}\text{C}$  -ზე, ცოვად დაიწნება 12-15 მპა-ზე და 20-25 მპა-ზე. დაიწნება ცხლად  $1600^{\circ}\text{C}$ -ზე 30 მპა წნევის ქვეშ, ვაკუუმი შეადგენდა  $10^{-3}$  პა-ს, დაყოვნება საბოლოო ტემპერატურაზე 10-12 წთ. გამოწვის რეჟიმი იყო:  $20-500^{\circ}\text{C}$ -მდე  $7^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ ,  $500-1400^{\circ}\text{C}$ -მდე  $150^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ ,  $1400-1600^{\circ}\text{C}$ -მდე კი  $10^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ . გაცივება  $10^{\circ}\text{C}/\text{წთ}$ . გამოწვის რეჟიმი წარმოდგენილია ნახაზზე 17.



ნახ. 17. ცხლად დაწნებილი ნიმუშების გამოწვის ტემპერატურული რეჟიმი

შესწავლილ იქნა  $1600^{\circ}\text{C}$ -ზე ცხლად დაწნებილი ნიმუშების ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლები. მიღებული შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 7. ცხლად დაწნებილი ნიმუშების ღია ფორიანობა შეადგენს  $0,5\%$ (CH-6) და  $0,7\%$  (CH-8), ხოლო სიმტკიცის ზღვარი კუმშვისას -1940 მპა და  $1614$  მპა, სისალე - HV:11.40. ჩვენს

მიერ ცხრილში წარმოდგენი-ლი მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ,  
რომ 1600°C საკმარისია ნიმუშების სრული გამკვრივებისათვის.

**ცხრილი 7. ცხლად დაწესებილი CH-6 ნიმუშის ფიზიკურ-ტექნიკური  
მახასიათებლები**

